მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „პარტნიორის“ მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

5 თებერვალი, 2015 წ.

მწვანე ალტერნატივამ 2014 წლის 11 დეკემბერს პროექტის განმახორციელებელს წარუდგინა შენიშვნები საჯარო განხილვებისათვის წარმოდგენილ გზშ ანგარიშზე. ამ შენიშვნების ნაწილი ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ გზშ ანგარიშში გათვალისწინებულია, თუმცა გარკვეული ტიპის შენიშვნები კვლავაც გაუთვალისწინებელია და ამდენად, აქტუალურია. ქვემოთ წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „პარტნიორი“-ს მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე:

1. გზშ-ს ანგარიშში სათანადოდ განხილული არ არის ტექნოლოგიური ალტერნატივები, აგრეთვე არ არის დასაბუთებული შერჩეული ვარიანტების კრიტერიუმები.

2. სათანადოდ არ არის შესწავლილი ხმაურის ზემოქმედება, სამშენებლო სამუშაოების დროს გარემოსა და მოსახლეობაზე. დოკუმენტში ეს საკითხი ზედაპირულად არის წარმოდგენილი, რომ *„რაც შეეხება ხმაურის უარყოფით გავლენას მშენებლობის პროცესში მანქანა-დანადგარების მუშაობისას უშუალოდ მათ სიახლოვეს, მან <u>შეიძლება გადააჭარბოს დასაშვებ ნორმებს, მაგრამ გარემოსა და ადამიანებზე უარყოფით გავლენას ის ვერ მოახდენს“.</u> (გვ.39)* - მოცემული წინადადება არ არის გამყარებული სათანადო მონაცემებით. გაურკვეველია, რის საფუძველზე დაყრდნობით საუბრობს პროექტის განმახორციელებელი, რომ მშენებლობის პროცესში, ხმაურის გავლენა მოსახლეობაზე არ იქნება, მაშინ, როცა დაშორება უახლოესი დასახლებული არეალიდან, მხოლოდ 70 მ-ია.

3. დოკუმენტში ნათქვამია, რომ *„ტექნოლოგოური პროცესი ითვალისწინებს მანგანუმის მაღალი ხარისხის კონცენტრატის წარმოებას. პროცესის დროს მიიღება აგრეთვე შუალედური პროდუქტი – კუდი, რომელსაც საწარმო გადაამუშავებს განმეორებით.“* ამასთან გზშ ანგარიშში არ არის განხილული მეორადი პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგია.

4. დოკუმენტის ერთ-ერთ უსუსტეს ნაწილს წარმოადგენს შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც გზშ ანგარიშის დასასრულს, დანართი 3-ში, ცხრილის სახით არის მოცემული. ამ დანართში, „გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმის“ სათაურის ქვეშ წარმოდგენილ ინფორმაცია მეტად ზედაპირულად აღწერს შემარბილებელ ღონისძიებებს.

5. გზშ ანგარიშის მე-10 თავი - „საზოგადოების ინფორმირება“ - არასრულყოფილია. არ არის ნათელი, გასწია, თუ არა ინვესტორმა ძალისხმევა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის. დოკუმენტის ამ ნაწილში უბრალოდ ნათქვამია, რომ *„საჯარო განხილვის შესახებ განცხადება გამოქვეყნებული იყო გაზეთ „24 საათი“-ს და გაზეთ „ახალი გაზეთი“-ს 2014*

წლის 27 ოქტომბრის ნომრებში“. - რაც ადგილობრივი და უშუალოდ, დაგეგმილი საქმიანობის საწარმოს სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის არასაკმარისია.

ამასთან, საჯარო განხილვის წინა დღეს, მწვანე ალტერნატივას თანამშრომლები გაესაუბრნენ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთაც აღნიშნეს, რომ ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. მათ სწორედ მწვანე ალტერნატივას თანამშრომლების მიერ შეიტყვეს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.

ამ დაგეგმილი საქმიანობის/პროექტის შემთხვევაში, ისევე როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ამ დრომდე ნებადართული ყველა სხვა პროექტის შემთხვევაში, ცხადია, რომ კანონმდებლობით საზოგადოების, განსაკუთრებით, დაგეგმილი პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების/თემების ინფორმირებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები არაეფექტურია. ამასთან, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებები არ უზრუნველყოფს საქართველოს მიერ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებას.